სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება 1.1 1/10/235

ქ. თბილისი 21 აპრილი 2015 წელი

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში – შემსყიდველი), ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის გიორგი სოლომონიას სახით და მეორეს მხრივ შპს „საპროექტო საკონსულტაციო კომპანია ბითი““ (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი დირექტორის ლევან ყიფიანის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი, ობიექტი და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1.1 **ხელშეკრულების საგანია:** ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ქ. თბილისში, თბილისის ზღვის შემოვლითი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის III პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად (2015 წლის 08 აპრილის #712 საქართველოს მთავრობის განკარგულება).
1.2 **ხელშეკრულების ობიექტია:** ქ. თბილისში, თბილისის ზღვის შემოვლითი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა, ხელშეკრულების დანართში მოცემული ტექნიკური დავალების შესაბამისად;
1.3. **კლასიფიკატორის კოდი – 71320000** <u>საინჟინრო-საპროექტო მომსახურება;</u>
1.4 ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებისთანავე და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარში.
2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **71744,00** (სამოცდათერთმეტი ათას შვიდასორმოცდაოთხი ლარი და 00 თეთრი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.
2.3. გასაწევი მომსახურების მოცულობისა და ღირებულების დეტალური აღწერა თან ახლავს წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

3.1 საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 35 (ოცდათხუთმეტი) კალენდარული დღე .
3.2 საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ჟ.შარტავას ქ. N7, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

4. გასაწევი მომსახურების ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
4.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მოწოდებული დოკუმენტაცია ექსპერტიზისათვის წარუდგინოს შემსყიდველის მიერ შერჩეულ საექსპერტო ორგანიზაციას (ექსპერტიზის ღირებულების ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი).
4.3 შემსყიდველი ვალდებულია აცნობოს მიმწოდებელს საპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია შენიშვნის გაცნობიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას საპროექტო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი წუნი.
4.4 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

5.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.
5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები ან/და სამსახურის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.2 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი მოწოდებულ დოკუმენტაციას წარუდგენს საექსპერტო ორგანიზაციას, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება ექსპერტიზის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ.
6.3 საპროექტო დოკუმენტაციების მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება ექსპერტიზის დადებითი დასკვნის შემთხვევაში.
6.4 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ წინარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირები.
6.5 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
6.6 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
7.2 ანგარიშსწორება მოხდება 2015 წ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
7.3 ხელშეკრულების 8.2 და 8.3 პუნქტების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ანაზღაურებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე პირგასამტეხლოს გადახდის შემდეგ.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
8.2 მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.3 ხელშეკრულების 4.3 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება საჯარიმო სანქცია, ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით;
8.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% -ის ოდენობით.
8.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.

8.6 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების 7.2 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,1 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9.ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
9.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.
9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;
ბ) ხელშეკრულების 4.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში;
გ)მიმწოდებლის მიერ მომსახურების საბოლოო ვადის 10 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორსმაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორსმაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.
10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს

შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებეულებების მთლიანი ან ნაწილობრივი უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

13.ღირებულება

13.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.

13.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

13.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

13.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

14.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

14.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი 298 93 63; საკონტ. პირი ბ-ნი ლევან ყიფიანი, ელექტრონული ფოსტა: info@btconsult.ge;

ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი 577157562; საკონტ. პირი ბ-ნი ნოდარ ხორბალაძე; ელექტრონული ფოსტა: ketilmotskoba@tbilisi.gov.ge.;

14.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

14.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს

15.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს

15.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

15.5 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. სხვა პირობები

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
16.2.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
16.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია	მიმწოდებელი: შპს „საპროექტო საკონსულტაციო კომპანია ბითი”
----------	----------
გიორგი სოლომონია მერის მოადგილე	ლევან ყიფიანი დირექტორი
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7 სახელმწიფო ხაზინა TRESGE22 საიდ. კოდი: 204521794 ა/ა **GE24NB0330100200165022**	შპს “საპროექტო საკონსულტაციო კომპანია ბითი” ქ. თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქ. N11 სს “თიბისი ბანკი” ბანკის კოდი: **TBCBGE22** საიდ. კოდი: 204472695 ა/ა: **GE68TB1100000107467309**

თბილისის ზღვის წრიული გზის 12,7 კმ მონაკვეთის (სამხრეთ-დასავლეთი მიმართულების) დეტალური საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საპროექტო დავალება

1. საპროექტო ორგანიზაციის დასახელება	-	_____
2. საფუძველი პროექტირებისთვის	-	_____
3. საკვლევაძიებო სამუშაოების საჭიროება	-	საჭიროებს
4. ობიექტის საპროექტო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები		
4.1. მონაკვეთის სიგრძე	-	12,7 კმ (სიგრძე დაზუსტდეს პროექტით)
4.2. საანგარიშო სიჩქარე	-	60 კმ/სთ
4.3. მიწის ვაკისის საპროექტო სიგანე	-	8,5 მ
4.4. სავალი ნაწილის და გვერდულების საპროექტო სიგანე	-	სავალი ნაწილის სიგნე 6 მ გვერდულების სიგანე 2X1,25 მ (მათ შორის 2X0,5 მ - ასფალტბეტონის საფარით გამაგრებული გვერდული
4.5. საპროექტო საგზაო სამოსის ტიპი	-	სავარაუდოდ კმ 0+000-დან კმ 11+100-მდე, და კმ 12+190-დან კმ 12+690-მდე, კაპიტალური ტიპის ასფალტბეტონის საფარიანი საგზაო სამოსი, დრეკადობის მოდულით არანაკლებ 200 მპა.
4.6. მოძრაობის უსაფრთხოების პირობები	-	მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების მიხედვით
5. სამუშაოების სავარაუდო სახარჯთაღრიცხვო პირობების განსაზღვრა	-	განისაზღვროს ხარჯთაღრიცხვით ლარებში, დღგ-ს ჩათვლით, საბაზრო ფასების გათვალისწინებით. გაფასებას ჩაუტარდეს ექსპერტიზა დამკვეთის ხარჯზე.
6. პროექტირების განსაკუთრებული პირობები		
6.1. სამუშაოს შემადგენლობა და სახეობები	-	ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებები წინასწარ შეთანხმდეს დამკვეთთან. საჭიროების შემთხვევაში დაპროექტების პერიოდში წარმოდგენილი იქნას ცალკეული ნახაზები.
6.2. დაგეგმილი საპროეტო ღონისძიებანი	-	კმ 0+000 - კმ 11+100 და კმ 12+190 - კმ 12+690-მდე მონაკვეთებზე არსებული ასფალტბეტონის საფარის დემონტაჟი, ახალი კაპიტალური ტიპის ასფალტბეტონის საფარიანი საგზაო სამოსის მოწყობა, გრძივი და განივი პროფილების აღდგენა, ჰორიზონტალური მიმართულების შეუცვლელად.
6.3. სარეაბილიტაციო სამუშაოები ტარდება მოძრაობის შეუწყვეტლად ან შეწყვეტით	-	შეუწყვეტლად
6.4. დავალების შესაძლო კორექტირება	-	ობიექტის შესწავლის შემდგომ საპროექტო ორგანიზაცია უფლებამოსილია წარმოადგინოს წინადადებები დავალებაში კორექტირების შესახებ.
7. საპროექტო დოკუმენტაციის ჩაბარების ვადა	-	_____

თბილისის ზღვის წრიული გზის 12,7 კმ მონაკვეთის (სამხრეთ-დასავლეთი მიმართულების) დეტალური საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

ფასთა ცხრილი

№	დასახელება	ღირებულება (ლარი)
1	ტოპოგრაფიული სამუშაოები	5 500.00
2	საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები	9 500.00
3	მუშა პროექტის შედგენა	43 000.00
4	სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	1 800.00
5	საპროექტო დოკუმენტაციის დაკომპლექტება და წარმოდგენა ელექტრონული ვერსიისა (DWG და PDF ფორმატში, ხარჯთაღრიცხვა Excel-ის ფორმატი) და ნაბეჭდი სახით, ფონტით - „Sylfaen", ხოლო ლათინური სიმბოლოები - „Calibri"-ით (ოთხ ეგზემპლარად)	1 000.00
6	ჯამი	60 800.00
7	დღგ–18%	10 944.00
8	სულ	71 744.00

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

გიორგი სოლომონია
მერის მოადგილე

შპს „საპროექტო საკონსულტაციო კომპანია ბითი"

ლევან ყიფიანი
დირექტორი